სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი საკონკურსო საბჭო

დ ა ს კ ვ ნ ა

საკონკურსო წინადადებათა შეფასების თაობაზე

ქ.თბილისი **26.07.2021წ.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისიის") 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებისა" და „სააბონენტო ნომრების პორტაბელობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2021 წლის 20 მაისის გ-21-10/274 გადაწყვეტილების შესაბამისად, საკონკურსო საბჭო აღნიშნავს:

2021 წლის 20 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შერჩევის მიზნით, (მისამართი ქ.თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქუჩა 50/18) გაიმართა საკონკურსო საბჭოს პირველი სხდომა.

2021 წლის 20 მაისის სხდომას ესწრებოდა საკონკურსო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ალექსანდრე ქარუმიძე - საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
2. თამარ გოშუა - წევრი, საბჭოს მდივანი, კომისიის აპარატი, სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
3. ქეთევან რეხვიაშვილი - წევრი, კომისიის აპარატი, ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
4. ციალა უჯმაჯურიძე - წევრი, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ტექნოლოგიის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი;
5. მიხეილ ჯღამაძე - წევრი, კომისიის აპარატი, სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ტექნოლოგიის ჯგუფის უფროსი
6. დავით ძიძიგური - წევრი, შპს „მაგთიკომი";
7. ირაკლი ესართია - წევრი, შპს „ვიონი საქართველო";
8. კახა სანაშვილი - წევრი, შპს „ახალი ქსელები";
9. ლევან ბუჩუკური - წევრი, სს „სილქნეტი";
10. ლევან დათუნაშვილი - წევრი, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია.

2021 წლის 20 ივლისის სხდომაზე არ გამოცხადდა დამოუკიდებელი ექსპერტი ზურაბ ქარცხავა სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო"-დან.

2021 წლის 20 ივლისის სხდომაზე საკონკურსო საბჭოს განსახილველად გადაეცა ერთი საკონკურსო განაცხადი. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომისიაში განცხადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პირმა - შპს „Mediafon Datapro"-მ (კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებული ლიეტუვაში, საიდენტიფიკაციო ნომერი: 304065322, იურიდიული მისამართი: ოლიმპიკის ქუჩა 1-33, ვილნიუსი, ლიეტუვის რესპუბლიკა) (კომისიაში რეგისტრაციის თარიღი: 19.07.2021; შ-21-11/3076; დრო: 14:38 სთ.);

საკონკურსო საბჭოს პირველ სხდომაზე, განხილულ იქნა კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა კომისიის 2021 წლის 20 მაისის გ-21-10/274

გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების (შემდგომში „საკონკურსო პირობები“) მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „Mediafon Datapro“-ს მიერ კომისიაში წარმოდგენილია:

ა) სათანადო წესით დამოწმებული, კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ორიგინალ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით (დაცულია საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი);

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების ნოტარიულად დამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (დაცულია საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი);

გ) ოფიციალური დადასტურება, რომ კომპანია („Mediafon Datapro”) არ წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს ან/და მათთან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ჰ[33] პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს (დაცულია საკონკურსო პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);

დ) დოკუმენტაცია, რომ კომპანია შეესაბამება საკონკურსო პირობების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისიწნებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ე) ოფიციალური დადასტურება კომპანიის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზის სისტემის საკუთრების შესახებ; (დაცულია საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი);

ვ) ოფიციალური დადასტურება, (ამონაწერი ლიეტუვის რესპუბლიკის იურიდიულ პირთა რეესტრიდან და ლიეტუვას სახელმწიფო საწარმოთა რეგისტრაციის ცენტრის წერილი), რომ აღნიშნული კომპანია, დამოუკიდებლად, ან/და მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირები არ იმყოფებიან ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის პროცესში და მათ ან მათთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირების მიმართ არ არის აღძრული გაკოტრების საქმე (დაცულია საკონკურსო პირობების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი);

ზ) საქართველოს ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია 28 000 (ოცდარვა ათასი) ევროს შესაბამისი ოდენობით ეროვნულ ვალუტაში რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 ოქტომბრამდე (გაცემის დღეს თანხა შეადგენს 104 272 ლარს (ასოთხი ათას ორას სამოცდათორმეტ ლარს). შესაბამისად, დაცულია საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თ) ქვეპუნქტი);

თ) საკონკურსო პირობების ტექნიკური და სატარიფო პირობები დალუქული კონვერტებით (დაცულია საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-3, მე-4 და მე–6 პუნქტები);

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად „Mediafon Datapro“ 10 ხმით გადავიდა მეორე ეტაპზე.

იმავე სხდომაზე გაიხსნა კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებული კონკურსანტის შპს „Mediafon Datapro“-ს საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობის დალუქული კონვერტი და შემოწმდა კონვერტში მოთავსებული დოკუმენტაციის შესაბამისობა კონვერტზე აღნიშნულ მონაცემებთან. საკონკურსო წინადადების ტექნიკური პირობები „Mediafon Datapro“ -ს მიერ წარდმოდგენილ იქნა საკონკურსო პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ასევე საკონკურსო პირობების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ოფიციალური დადასტურება იმისა , რომ შემოთავაზებული მონაცემთა

ბაზის სისტემა თავსებადია ავტორიზებული პირების მიერ უკვე დანერგილ და ამჟამად მოქმედ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა საოპერაციო ბაზებთან.

საკონკურსო საბჭოს წევრთა მოთხოვნით, საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით, განისაზღვრა 2021 წლის 21, 22 და 23 ივლისი. ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში, შპს „Mediafon Datapro" -ს მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ პირობებს ასევე გაეცნო საკონკურსო საბჭოს წევრი ზურაბ ქარცხავა (დამოუკიდებელი ექსპერტი) სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო"-დან.

2021 წლის 23 ივლისის სხდომას ესწრებოდა საკონკურსო საბჭოს სრული შემადგენლობა. საკონკურსო საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებული კონკურსანტის „Mediafon Datapro"-ს საკონკურსო წინადადების ტექნიკურ პირობებს. საკონკურსო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური შემოთავაზება შეესაბამება საკონკურსო პირობების მე–4 და მე–5 მუხლის მოთხოვნებს.

2021 წლის 23 მაისის სხდომაზე გაიმართა ღია კენჭისყრა. კომპანია ერთხმად დაშვებულ იქნა კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

2021 წლის 23 ივლისის სხდომაზე, რომელსაც საკონკურსო საბჭოს სრული შემადგენლობა ესწრებოდა, გაიხსნა საკონკურსო წინადადების სატარიფო პირობები.

„Mediafon Datapro" -ს მიერ წარმოდგენილი სატარიფო პირობები წარმოდგენილ იქნა საკონკურსო პირობების დანართი N1-ს სახით და შეადგინა 245 999 (ორას ორმოცდახუთი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ევრო დღგ-ს გარეშე.

წარმოდგენილი სატარიფო პირობები გამოქვეყნდა და საკონკურსო საბჭოს წევრებს ინდივიდუალურად მიეცათ შესაძლებლობა შეემოწმებინათ წარმოდგენილი სატარიფო პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო საბჭო აღნიშნავს, რომ სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში, კომისიის 2021 წლის 20 მაისის გ-21-10/274 გადაწყვეტილების მე-7 მუხლის 22-ე პუნქტის მიხედვით გამარჯვებულად უნდა გამოცხადდეს შპს „Mediafon Datapro".

საკონკურსო საბჭოს თავმჯდომარე: ალექსანდრე ქარუმიძე

საკონკურსო საბჭოს მდივანი: თ. გოშუა